განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრის (ს/კ [redacted]), ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ [redacted]) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი ჯანი და ღონეს (ს/კ [redacted]) რეორგანიზაციის (შერწყმა) განხორციელებაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი ბახმაროს (ს/კ [redacted]) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ლელოს და რაგბის კლუბი ჯანი და ღონეს (ს/კ [redacted]) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სპორტისა და სპორტულ ღონისძიებათა ორგანიზების ცენტრთან (ს/კ [redacted]) შერწყმის (მიერთების) განხორციელების თაობაზე.

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ი. ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა: თეა უჯმაჯურიძემ